საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა #21-ში, არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	28.05.2026

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
2. პირობითი აღნიშვნები;
3. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
4. არსებული და დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა;
5. არსებული და დასაგეგმარებელი შენობის ფასადები;
6. არსებული და დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები;
7. გზა-კიბეების დეტალური ნახაზები;
8. ბაქან-ლიფტის და ლიფტის დეტალიზაცია;
9. გარე კედლების დეტალური ნახაზები;
10. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები;
11. კარის ანაწყობების დეტალური ნახაზები;
12. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობებისა და გასასვლელების ნაწილი)*;
13. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
14. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
15. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(დაკავებულობებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
16. მისაწვდომობის დეტალური ნახაზები;

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 4

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 5

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 6

მისაწვდომობის შეფასება ---------- 7

შიგა გარემოს შეფასება ---------- 8

გარე კედლების შეფასება ---------- 9

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 10

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 11

ლიფტის შეფასება ---------- 12

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა #21-ში, #01.13.01.007.056 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია (გადაკეთება ფუნქციის ცვლილებით).

საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 10/16/2023 წელს №6710640 ბრძანების საფუძველზე გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. არქიტექტურული პროექტი შეთანხმდა 2023 წლის 21 დეკემბერს #6816034 ბრძანების საფუძველზე.

ამ ეტაპზე კვლავ განსაზღვრულია პროექტის კორექტირება, კორექტირების შედეგად იცვლება:

- სარდაფის სართულზე გაუქმდა "F" და „3" ღერძების კვეთაზე განთავსებული გასასვლელი.
- მიწის დონის ზედა I სართულზე, შენობის მთავარ შესასვლელთან მოხდება ვესტიბიულის მიშენება;
- თითოეული სართულის დონეზე, ნაწილობრივ შეიცვალა სივრცეების გეგმარება.
- სახურავის დონეზე შეიცვალა ტექნიკური სივრცეების გეგმარება.

საპროექტო მიწის ნაკვეთს მხოლოდ ლუბლიანას ქუჩის მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე. დასაგეგმარებელ ნაკვეთთან სატრანსპორტო მიმოსვლა ხორციელდება ამავე არეალიდან. რაც შეეხება სარეკონსტრუქციო შენობასთან სახანძრო ტექნიკის მისადგომობის საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ანალიზი მოყვანილია წინამდებარე დასკვნის მე-5 თავში.

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება სწორი რელიეფურობით, შესაბამისად სავალდებულოდ არ განისაზღვრა მიწის დონის გამოთვლა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით. მიწის დონედ მიჩნეულ იქნა რელიეფის ყველაზე დაბალი ნიშნული 427.80, საიდანაც აგეგმარებული სიმაღლე უტოლდება 15,9 მეტრს.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ქვედა I სართული (-4.20 ნიშნულზე) - სამედიცინო აპარატურის კაბინეტები, სამედიცინო კაბინეტები, დამხმარე სათავსები, ტუალეტები.

- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - სამედიცინო კაბინეტები, კაფეტერია, დაცვის ოთახი, სარეგისტრაციო, სალარო, ლაბორატორია, დამხმარე სათავსები, ტუალეტები.
- მიწის დონის ზედა II სართული (+3.30 ნიშნულზე) - სამედიცინო კაბინეტები, ლაუნჯ-სამზარეულო ზონა, დამხმარე სათავსები, ტუალეტები.
- მიწის დონის ზედა III სართული (+6.60 ნიშნულზე) - სამედიცინო კაბინეტები, ბრიფინგის დარბაზი, დამხმარე სათავსები, ტუალეტები.

  +9.90 ნიშნულზე - არაექსპლუატირებადი სახურავი და ტექნიკური დანადგარებისათვის განკუთვნილი პენტჰაუსი (პენტჰაუსის განმარტება იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-10 თავში).

დასაგეგმარებელი შენობის თითოეული სართული მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-7 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით, რომელთა შესახებ ვრცელი ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-5 თავში.

შენობის საპროექტო ნაწილის ფასადი შეილესება და შეიღებება, ასევე მოპირკეთდება HPL პანელებით. რაც შეეხება სახურავს, იგი შედგება მთელი რიგი შრეებისაგან. ფასადებისა და სახურავის თაობაზე დეტალური შეფასება მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-9 და მე-10 თავებში.

1 | გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **საქმიანი ჯგუფი სქ** (ამბულატორიული კლინიკის მომსახურე სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების და რეგისტრატურის სივრცეები 0.00, +3.30, +6.60 და -4.20 ნიშნულებზე; გასახდელები -4.20 ნიშნულზე; კაფეტერია 0.00 ნიშნულზე; ლაუნჯი-სამზარეულოს სივრცე +3.30 ნიშნულზე; შეხვედრების ოთახი +6.60 ნიშნულზე) - შეესაბამება 304.1 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობა ან ნაგებობა ან მათი ნაწილი, რომელიც მოიცავს ამბულატორიულ კლინიკებს, საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის გამოყენებულ სივრცეებს და სხვას.
    შენიშვნა: იმის გათვალისწინებით რომ თავშეყრის სივრცეების (კაფეტერიის/ ლაუნჯის და შეხვედრების ოთახების) ფართობი არ აღემატება 70 მ2, ხოლო დაკავებულობის დატვირთვა 50 დ.დ-ს, აღნიშნული სივრცეები კლასიფიცირებულია არა თვ. არამედ სქ ჯგუფად, თანახმად 303.1.2 ქვეთავისა.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (სხვადასხვა დამხმარე - სასაწყობე სივრცეები -4.20, 0.00 და +6.60 ნიშნულებზე) - შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საშუალო საფრთხის შემცველი მასალების შესანახად გამოყენებული ოთახები/სივრცეები.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (ტექნიკური სივრცეები -4.20 და 0.00 ნიშნულებზე) - შეესაბამება 306.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საშუალო საფრთხის წარმოების მიზნით გამოყენებული სივრცეები.

- თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

- ამბულატორიული კლინიკის მომსახურე სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების სივრცეებისთვის ---------- 9.3 მთლიანი;
- ადმინისტრაციული სივრცეებისთვის ----------9.3 მთლიანი;
- გასახდელებისთვის ----------4.7 მთლიანი;
- კაფეტერია/ლაუნჯის სივრცეებისთვის ---------- 1.4 სუფთა;
- შეხვედრების ოთახისთვის ---------- 0.7 სუფთა;
- დამხმარე - სასაწყობე სივრცეებისთვის ---------- 46.5 მთლიანი;
- ტექნიკური ოთახებისთვის ---------- 27.9 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- თანახმად 2103 ქვეთავისა, არსებული შენობა რეკონსტრუირებული ნაწილების ჩათვლით უნდა აკმაყოფილებდეს ფართობთან და სიმაღლესთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მე-5 თავშია მოცემული. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუმცა მთელი რიგი ღონისძიებების გატარების ხარჯზე:

  - პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მთელი შენობა წარმოადგენს ერთ ხანძრისაგან დაცულ ფართობს, შესაბამისად 503 ცხრილის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ყველაზე მკაცრი მოთხოვნები, რაც ნიშნავს შენობის თითოეული სართულზე გამოყენებული დაკავებულობის ჯგუფის ერთ მთლიან ფართობად მოაზრებას.
  - აქვე აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ხანძრისაგან დაცული ფართობის ფორმირების კუთხით, კერძოდ იმის დასადგენად თუ ჯამურად (ოთხივე სართულის დონეზე) რა რაოდენობის სარეკონსტრუქციო ფართთან გვქონდა შეხება, გამოყენებულ იქნა დამხმარე დაკავებულობების კატეგორია, კერძოდ სქ ჯგუფისაგან განსხვავებული ყველა სხვა ჯგუფი (სმ-1 და სწ-1 ჯგუფები) დაკლასიფიცირდა დამხმარე ჯგუფის სახეობად, ვინაიდან დამხმარე დაკავებულობებმა ერთად არ დაიკავა იმ სართულის ფართობის 10%-ზე მეტი, სადაც მდებარეობს, თანახმად 508.2.1 ქვეთავისა და შენობაში განთავსებული თითოეული ფართობი გაერთიანდა ძირითადი დაკავებულობის, სქ

ჯგუფის ფართობში და აღნიშნულის საფუძველზე გამოვლინდა ხანძრისაგან დაცული მთლიანი სივრცის საერთო დაკავებულობის კვადრატულობა.

- ზემოაღნიშნულმა საერთო დაკავებულობის სქ ჯგუფის ფართობმა გადააჭარბა 503 ცხრილის მოთხოვნებს IIB კონსტრუქციის ტიპისათვის და საჭირო გახდა 506.3 ქვეთავის გამოყენება, რომლის თანახმად თუ შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად, 503-ე ცხრილში მოცემული ფართობის შეზღუდვები დასაშვებია, გაიზარდოს დამატებით 200%-ით (IS = 2) შენობებისთვის, რომლებიც მიწის დონიდან ერთ სართულზე მეტია. აღნიშნულის გათვალისწინებით 503 ცხრილის მიხედვით განსაზღვრული ფართობი სქ ჯგუფისათვის 2140 $მ^2$-ის სახით გაიზარდა 200%-ით და გაუტოლდა 6420 $მ^2$-ს, რომლის საფუძველზეც მოგვეცა კონსტრუქციულ ტიპად II-B კონსტრუქციის სახეობის შერჩევის შესაძლებლობა.

- რაც შეეხება სარეკონსტრუქციო შენობის სიმაღლეს, არსებული შენობა მდებარეობს მკირედ დახრილ რელიეფზე, შესაბამისად სავალდებულოდ არ განისაზღვრა მიწის დონის გამოვლენა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, არამედ მიწის დონედ მიჩნეულ იქნა რელიეფის ყველაზე დაბალი ნიშნული, 427.80 აბსოლუტური ნიშნულის სახით და აღნიშნული დონიდან შენობის სიმაღლე განისაზღვრა 15.913 მეტრით, რაც ასევე შეესაბამება II-B ტიპის კონსტრუქციის მაქსიმალურ ლიმიტს 16.8 მეტრის სახით.

- შენობაში განთავსებულია მიწის დონის ზედა 3 (სამი) და მიწის დონის ქვედა 1 (ერთი) სართული, რაც შეეხება დაკავებულობებს სქ ჯგუფი დაკლასიფიცირდა ძირითადი დაკავებულობის სახეობად, ხოლო 508.2.1 ქვეთავის შესაბამისად სმ-1 და სწ-1 ჯგუფის დაკავებულობები განისაზღვრა დამხმარე დაკავებულობის/გამოყენების კატეგორიად.

- ყოველივე ზემოაღნიშნული შესაბამისობაში წესებისა და მე-5 თავის მოთხოვნებთან.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- სარეკონსტრუქციო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(II-B)** შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის, ასევე არსებული შენობის კონსტრუქციული აგებულების გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. გასათვალისწინებელია, რომ IIB კონსტრუქციასთან შესაბამისობა გამოვლინდა 506.3 ქვეთავზე დაყრდნობით, ვინაიდან შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, 503-ე ცხრილში მოცემული

ფართობის შეზღუდვები დასაშვებია, გაიზარდოს დამატებით 200%-ით შენობებისთვის, რომლებიც მიწის დონიდან ერთ სართულზე მეტია.

- აქვე გასათვალისწინებელია, რომ შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი არ მოითხოვება 601 ცხრილის შესაბამისად. ასევე ცეცხლმედეგობის კუთხით გამიჯვნა არ მოითხოვება სქ, სმ-1 და სწ-1 ჯგუფებისათვის, თუმცა თანახმად 704.1 ქვეთავისა, ცეცხლმედეგობის ხარისხები სტრუქტურულ ნაწილებზე დაყრდნობილი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები არ უნდა იყოს. აღნიშნული მოთხოვნა დაკამაყოფილებულია, 721 ქვეთავზე დაყრდნობით მოცემული იატაკის და სახურავის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები შეესაბამება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ვალდებულებას.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით, გარე კედლებისათვის მხოლოდ 1-8 ღერძებში განისაზღვრა 1 და 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ვალდებულება, რაც დაკმაყოფილებულია. სხვა ფასადებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები აღემატება 6,0 მეტრს, შესაბამისად არც ცეცხლმედეგობის სავალდებულო მოთხოვნები განისაზღვრება. მეტი დეტალიზაციისათვის იხილეთ საპროექტო დოკუმენტაციაზე თანდართული წესების ანალიზი.

4 | ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- ვინაიდან საპროექტო შენობა მიწის დონიდან სამ სართულიანია და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, შენობის გარე კედლებში არსებული ღიობების შეუღლად გამიჯვნა 705.8.5 ქვეთავის პირველი და მეორე გამონაკლისებისა არ მოითხოვება.

- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს. იხილეთ წესების ანალიზი.

- შახტების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 713.4 ქვეთავის შესაბამისად და უტოლდება 2 საათიან ცეცხლმედეგობას.

- შიგა-გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავებს წარმოადგენს ცეცხლმედეგი ზღუდეები, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.

- გარე გზა-კიბეები შენობის შიდა სივრცეებისაგან გამიჯნულია 1026.6 ქვეთავის მოთხოვნის დაცვით.

- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა არ მოითხოვება შენობაში განთავსებული ჯგუფების გათვალისწინებით და თანახმად 508.4 ცხრილისა.

- დერეფნების მომსახურე ტიხრებისათვის ცეცხლმედეგობის ხარისხი არ განისაზღვრა 1018.1 ცხრილის მიხედვით, თუმცა აღნიშნულის ვალდებულება შემოდის 404.6 ქვეთავის გათვალისწინებით, ატრიუმისაგან გამმიჯნავი კედლებისათვის.

- ტექნიკური სათავსები მომიჯნავე სივრცეებისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღიდეებით, რაც შეესაბამება წესების მოთხოვნებს.

- შენობაში განთავსებული შემოუზღუდავი გზა-კიბეების ხარჯზე წარმოიქმნება შვეული შემოუზღუდავი ღიობი, რომელიც კლასიფიცირდება ატრიუმად და რომელზეც უნდა გავრცელდეს 404 ქვეთავის მოთხოვნები:

    - დაკმაყოფილებულია 404.3 ქვეთავის მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც მთელი სარეკონსტრუქციო შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.
    - სახანძრო განგაშის სისტემა მოწყობილია 907.2.14 ქვეთავის შესაბამისად. კვამლაღმოჩენებით აღჭურვილ ატრიუმის საზღვრებში მოწყობილია დამკავებელთა შეტყობინების სისტემა.
    - ატრიუმის საზღვრები უზრუნველყოფილია კვამლის საკონტროლო სისტემით. შენობას თითოეული სართულის დონეზე ემსახურება დაწნევის სისტემა და კვამლის გამწოვი სისტემა. ასევე სახურავის დონეზე მოწყობილია ფანჯრები ავტომატური გაღებით. დეტალურად სისტემების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საინჟინრო დოკუმენტაციის კვამლგაწოვის ალბომში.
    - კვამლის საკონტროლო სისტემა მიერთებულია სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემასთან, თანახმად 404.7 ქვეთავისა.
    - ატრიუმის სივრცე მომიჯნავე სივრცეებისაგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებით და ასეთ ანაწყობებში მოწყობილია 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობები, რაც შეესაბამება 404.6 ქვეთავის მოთხოვნას.

- მაქსიმალური სავალი მანძილის ის მონაკვეთი, რომელიც უშუალოდ ატრიუმის საზღვრებშია განთავსებული, არ აღემატება 60 მეტრს, თანახმად 404.9 ქვეთავისა.

- კარის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

- ფანჯრის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.6 ცხრილის შესაბამისად.

5 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- თანახმად 404.3 ქვეთავისა, ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დააყენონ ატრიუმის შემკველ მთელ შენობაში. ავტოსაშხეფი სისტემის ვალდებულება ასევე ვრცელდება -4.20 ნიშნულზე 903.2.11 ქვეთავის მიხედვით, როგორც სართულზე შესაბამისი ღიობების გარეშე.
  ზემოაღნიშნული მოთხვნები დაცულია და მთელი სარეკონსტრუქციო შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

- ავტოსაშხეფ სისტემას ემსახურება სახანძრო ტუმბო, რომელიც განთავსებულია -6.00 ნიშნულზე, რომელიც მომიჯნავე ფართებისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებით, რაც შეესაბამება 913.2.1 ქვეთავის მოთხოვნას. ამასთანავე სახანძრო ტუმბოს ოთახს პირდაპირი კავშირი აქვს გარე სივრცესთან. ტუმბოს მიმდებარედ განლაგებულია სახანძრო წყლის რეზერვუარიც.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა

სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.

- თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

თანახმად 905.4 ქვეთავისა:

- გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, მილდგარები განთავსებულია თითოეული სართულის დონეზე საერთო სარგებლობის დერეფნებში. ასეთ არეალებში მილდგარების მოწყობის საკითხი საჭიროებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

  გასათვალისწინებელია, რომ I კლასის სისტემის საშუალებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფები 77 მმ სახანძრო სახელოს უერთებენ ქანჩს. ეს სისტემა განკუთვნილია მათთვის, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს.

თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია. II კლასის სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია თითოეული სართულის დონეზე.

  გასათვალისწინებელია, რომ II კლასის სისტემის საშუალებით 51 მმ სახანძრო ონკანიდან წყალი მიეწოდება უპირველესად შენობაში მყოფთ ან სახანძრო-სამაშველო დანაყოფს თავდაპირველი რეაგირებისთვის.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია თითოეულ სართულზე, სახანძრო მილდგარების კარადებთან, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმოჩენი სისტემები:

- მთელი საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით, რაც შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნას.
  სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები განთავსებულია სართულების მომსახურე გასასვლელიდან 1,5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არაა საჭირო 60 მეტრზე მეტი მანძილის გავლა, რაც შეესაბამება 907.4.2.1 ქვეთავს. ასეთი სისტემა ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას და მასთან ერთად მოწყობილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იმის გათვალისწინებით, რომ გზა-კიბეებისათვის სავალდებულოა დაწნევის სისტემა, თანახმად 909.20.6 ქვეთავისა, ასეთი სისტემა უნდა ამოქმედდეს კვამლაღმოჩენებით, რომელიც დაყენებულია თითოეული სართულის იატაკის დონეზე, თითოეულ სივრცეში. აღნიშნულის ვალდებულება განისაზღვრება ლიფტის შახტის დაწნევის კუთხითაც.

- თითოეული ელექტრომექანიკური მოწყობილობის და ლიფტის მოწყობილობის თითოეულ ოთახში, მოწყობილია კვამლაღმოჩენები, თანახმად 907.2.13.1.1 ქვეთავისა.

- კვამლაღმოჩენები უზრუნველყოფილია საპროექტო შენობის მუდმივად დაუკავებელი სივრცეებისათვის, თანახმად 907 ქვეთავისა.

- სახანძრო განგაშის სისტემის გააქტიურებისას შეტყობინება უნდა გადაეცემოდეს სახანძრო განგაშის მაკონტროლებელ ერთეულს და გააქტიურებისთანავე ავრცელებდეს შეტყობინებას დამკავებელთათვის. აღნიშნულისათვის შენობაში უზრუნველყოფილია განგაშის შეტყობინების მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- მხედველობითი განგაშის შეტყობინების მოწყობილობები განთავსებულია საჯარო და საერთო ფართობებზე, თანახმად 907.5.2.3.1 ქვეთავისა.

- ატრიუმის საზღვრებში სახანძრო განგაშის სისტემა მოწყობილია 907.2.14 ქვეთავის შესაბამისად. კვამლაღმოჩენებით აღჭურვილ ატრიუმის საზღვრებში მოწყობილია დამკავებელთა შეტყობინების სისტემაც.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- შემოზღუდულ, შიგა გასასვლელის გზა-კიბეს ემსახურება დაწნევის სისტემა, რაც დასაშვებია 909.20.5 ქვეთავის შესაბამისად.

  თავის მხრივ დაწნევასთან მიმართებაში დადგენილი ნორმები უნდა შეესაბამებოდეს 909.20.6 ქვეთავში გაწერილ პირობებს, რაც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო პროექტის დამუშავებისას.

- ასევე დაწნევადია ლიფტის შახტი, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისზე დაყრდნობით.

  თავის მხრივ დაწნევასთან მიმართებაში დადგენილი ნორმები უნდა შეესაბამებოდეს 909.21 ქვეთავში გაწერილ პირობებს, რაც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო პროექტის დამუშავებისას.

- ატრიუმის საზღვრები უზრუნველყოფილია კვამლის საკონტროლო სისტემით. შენობას თითოეული სართულის დონეზე ემსახურება დაწნევის სისტემა და კვამლის გამწოვი სისტემა. ასევე სახურავის დონეზე მოწყობილია ფანჯრები ავტომატური გაღებით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ატრიუმში კვამლის მექანიკური კონტროლისათვის დასაშვებია გაწოვის მეთოდის გამოყენება. კვამლის საკონტროლო სისტემები, რომლებიც იყენებს გაწოვის მეთოდს, უნდა დაგეგმარდეს NFPA 92B-ის შესაბამისად. კვამლის ფენის ქვედა თარაზული ზედაპირი უნდა შენარჩუნდეს, სულ მცირე, 1,8 მ სიმაღლეზე ნებისმიერი სავალი ზედაპირიდან, რომელიც კვამლისგან დაცული ზონის საზღვრებში აუცილებელი გასასვლელი სისტემის ნაწილია. აღნიშნული მოთხოვნები სავალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო პროექტის დამუშავებისას.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.
- სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაერთებელთა დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარება:

- შენობა-ნაგებობების სახანძრო ტექნიკური სიმაღლე განსაზღვრულია 9.0 მეტრით, რაც გასათვალისწინებელია 915 ქვეთავის მიზნებიდან გამომდინარე.
- სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზა შეესაბამება 915.4 ქვეთავის მოთხოვნას. ლუბლიანას ქუჩის სიგანე განსაზღვრულია 6,0 მეტრით, სარეკონსტრუქციო შენობის ჩრდილოეთით განთავსებული გზის სიგანე კი უტოლდება 3,5 მეტრს, თუმცა აღნიშნული დასაშვებად მიგვაჩნია არსებული განაშენიანების გათვალისწინებით და თანახმად 915.4 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა.
- ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობის ტექნიკური სიმაღლე არ აღემატება 10 მეტრს, დაკმაყოფილებულია 915.7 ქვეთავის მოთხოვნა. კერძოდ, სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა მიდის შენობის მთავარ შესასვლელ კარამდე არა უმეტეს 15 მეტრის დაშორებით. მისასვლელი გზა მოწყობილია ისე, რომ შენობის პირველი სართულის გარე კედლის ნებისმიერი ნაწილი განთავსებულია სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზიდან არა უმეტეს 45 მეტრის მანძილზე.
- სახანძრო ტექნიკის გადასაადგილებლად და დგომისათვის განკუთვნილი გზის დახრა, არცერთ არეალში არ აჭარბებს 10%-ს.

- საპროექტო ტერიტორიაზე სახანძრო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზის ჩიხური მონაკვეთის სიგრძე გაცდა 45 მეტრს, შესაბამისად გზის ბოლოს მოეწყო სახანძრო ტექნიკის მოსატრიალებელი მოედანი 15მX15მ-ზე, რაც შეესაბამება 915.23 ქვეთავის მოთხოვნას.

6 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- სარეკონსტრუქციო შენობის თითოეული სართულისთვის გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს 1021.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

  - +6.60 ნიშნულის დონე განთავსებულია მიწის დონიდან მე-3 სართულზე, რაც თავისთავად საჭიროებს ორი გასასვლელის მოწყობას. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სართულზე დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 ადამიანს, შესაბამისად სართულისთვის არ არის საჭირო მესამე გასასვლელის მოწყობა. წარმოდგენილი პროექტით მითითებულ სართულს ემსახურება ერთი შიგა გასასვლელის გზა-კიბე და ორი გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე.
    აქვე აღსანიშნავია ის გარემოება რომ გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები წარმოადგენს არსებულ კიბეებს, რომლებიც რჩება უცვლელის სახით (უსაფრთხოების წესების მოთხოვნებთან შესაბამისობაში), თუმცა ხდება მათი გაუმჯობესება მოაჯირებისა და სახელურების კუთხით.
  - +3.30 ნიშნულის დონეზე განთავსებული სხვადასხვა სივრცეების დაკავებულობის დატვირთვა და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი აღემატება 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს, თუმცა დაკავებულობის ჯამური მონაცემი არ აღემატება 500 დამკავებელს, შესაბამისად მითითებული სართულისთვისაც საჭიროა ორი გასასვლელის მოწყობა, რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ერთი შიგა გასასვლელის და ორი ზემოაღნიშნული არსებული გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბის სახით.
  - 0.00 ნიშნულზე განთავსებული სართულიც დაკავებულობის დატვირთვისა და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილის გათვალისწინებით არ შეესაბამება 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს, ამას გარდა სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამი არ აღემატება 500 დამკავებელს, შესაბამისად აღნიშნული სართულისთვის საჭიროა ორი გასასვლელის მოწყობა რაც პროექტით გათვალისწინებულია ორი გზა-

კარის სახით. ზემოაღნიშნული გასასვლელები გარე სივრცეს უკავშირდებიან გარე გზა-კიბეების საშუალებით.

- რაც შეეხება -4.20 ნიშნულზე განთავსებულ სართულს, ამ შემთხვევაშიც სართულის დაკავებულობის დატვირთვა და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი არ შეესაბამება 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნას და სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელის მოწყობა რაც წარმოდგენილი პროექტით დაკმაყოფილებულია. სართულს ემსახურება ერთი გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე და ერთი გზა-კარი, რომელიც გარე სივრცეს უკავშირდებიან გარე გზა-კიბის საშუალებით.
  ამას გარდა, ამავე სართულზე, თმცა -6.00 ნიშნულის დონეზე განთავსებულ სახანძრო ტუმბოსთან მიდგომა ხდება გარე გზა-კიბის საშუალებით.

- წარმოდგენილი პროექტით დაკმაყოფილებულია 1021.1 ქვეთავის მოთხოვნა შენობის მესამე სართულისთვის შიგა ან გარე გასასვლელის სულ მცირე ერთი გზა-კიბის მოწყობასთან დაკავშირებით.

- შენობაში გათვალისწინებული გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები წარმოადგენს არსებულ კიბეებს და ისინი არ არის შემოზღუდული, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 1009.3 ქვეთავის მე-5 გამონაკლისით, როდესაც კიბეები განთავსებულია ატრიუმის საზღვრებში.

- მეორე და მესამე სართულების მომსახურე შიგა გასასვლელის გზა-კიბე შენობიდან გამოსასვლელის დონეზე გარე სივრცეს უკავშირდება პირდაპირ, თანახმად 1022.1 ქვეთავის შესაბამისად.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს 1022.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- გარე გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს 1026 ქვეთავის მოთხოვნებს.

- თითოეული სართულის მომსახურე გასასვლელები ერთმანეთისგან დაშორებულია სართულის მაქსიმალური დიაგონალის 1/3-ზე მეტი მანძილით, რაც შეესაბამება 1015.2.1 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის მოთხოვნას. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ +3.30 ნიშნულზე სართულის მაქსიმალურ დიაგონალში არ არის გათვალისწინებული ამავე დონეზე განთავსებული დაუკავებელი სახურავი, რომელთანაც მიდგომა ხდება ამავე სართულის დონიდან, თუმცა აღნიშნული დასაშვებად მიგვაჩნია ვინაიდან სახურავი წარმოადგენს დაუკავებელ სივრცეს, რომელთანაც მიდგომაც განხორციელდება მხოლოდ პერსონალის მიერ სახურავის შესაკეთებლად.

- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 ცხრილის მოთხოვნა, კერძოდ არცერთი ცალკეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 1015.1 ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნას. რაც შეეხება საერთო სავალ ბილიკებს, აღნიშნული აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილით განსაზღვრულ მონაცემებს, რაც მთლიანად ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვილი შენობებისთვის სქ, სწ და სმ ჯგუფების შემთხვევაში იზრდება 30 მეტრამდე.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს. უმუალოდ ატრიუმის საზღვრებში, გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი არ აღემატება 60 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 404.9 ქვეთავის მოთხოვნას.

- დერეფნის ჩიხები აკმაყოფილებს 1018.4 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის მოთხოვნებს და ვინაიდან მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, მათი სიგრძე შენობაში გათვალისწინებული დაკავებულობის ჯგუფებისთვის დასაშვებია აღემატებოდეს 6.0 მეტრს თუმცა არ უნდა იყოს 15.0 მეტრზე გრძელი.

- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრული მოთხოვნა და გზა-კიბეების სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.10 მეტრს. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ვინაიდან მთლიანი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, არ არის საჭირო 1007.3 ქვეთავით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა, რაც გულისხმობს სახელურებს შორის 1,20 მეტრის დაცვას.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. დერეფნების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს როგორც 1018.2 ცხრილის მოთხოვნებს, ისე 1005.3.2 ქვეთავის შესაბამისად გამოთვლილს და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.20 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის (გარდა საგამონაკლისო არეალებისა) თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია. იმ ტექნიკური სივრცეების მომსახურე კარი, რომლის ფართობიც 1 $მ^2$-ან ნაკლებია, ასეთი კარის სიგანე 0.82 მეტრზე ნაკლებია რაც დასაშვებია 1008.1.1 ქვეთავის მე-3 გამონაკლისით.

- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. ამასთანავე თითოეული მარშის საზღვრებში, საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

- გზა-კიბეების ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები, ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შენობის სახურავზე განთავსებულია მექანიკური მოწყობილობების ოთახები, რომლებიც წარმოადგენს პენტჰაუსებს. იმის გათვალისწინებით, რომ პენტჰაუსების და სახურავზედა ნაგებობების ფართობი არ აღემატება სახურავის ფართობის 1/3-ს, აღნიშნული დონე განხილულია როგორც სახურავი და არა დამატებითი სართული, შესაბამისად სახურავთან მიდგომა დასაშვებია ერთი გზა-კიბის საშუალებით, თანახმად 1009.16 ქვეთავისა.

- გასასვლელის ყველა კარი (გარდა 0.00 ნიშნულზე განთავსებული მთავარი შესასვლელის და კაფეტერიის მომსახურე კარისა), იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც

შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება 0.00 ნიშნულზე განთავსებულ მთავარი შესასვლელის და კაფეტერიის კარს, ივი წარმოადგენს 1008.1.4.2 ქვეთავის შესაქბამის დენზე მომუშავე კარს, რისი მოწყობაც დასაშვებია 1008.1.2 ქვეთავის მე-7 გამონაკლისით. გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ ასეთი კარი უნდა მოეწოს 1008.1.4.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

7 მისაწვდომობის შეფასება:

- მიუხედავად იმისა, რომ სარეკონსტრუქციო შენობა არსებულია, მისაწვდომობის კუთხით მასზე გავრცელებულია ახალი შენობებისადმი მოთხოვნები.

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. შენობის სამივე დონე და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან შენობის მთავარ შესასვლელემდე და შენობის ოთხივე სართულზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საპროექტო შენობას ერთი მთავარი შესასვლელი ემსახურება და ისიც მისაწვდომია, რაც შესაბამისობაშია 1105.1 ქვეთავთან.

- სართულებზე გადაადგილება ხორციელდება ლიფტის საშუალებით. ლიფტის კაბინა მისაწვდომია შშმ პირთათვის და მისი პარამეტრები აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნას. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- მისაწვდომ სვლაგეზზე გამოყენებულია ბაქან-ლიფტი, რაც დასაშვებია არსებული შენობის საზღვრებში, თანახმად 2111.8.3 ქვეთავისა. ბაქან-ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- ოთხივე სარეკონსტრუქციო სართულს ემსახურება მისაწვდომი ტუალის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს. მისაწვდომი ტუალეტები დაგეგმარებულია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- თანახმად 1007.1 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა, მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები არ მოითხოვება არსებული შენობების გადაკეთებისას, თუმცა მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობა ითვალისწინებს შემდეგი სახის მისაწვდომ გასასვლელ კომპონენტებს: მისაწვდომი სვლაგეზები, შიგა-გასასვლელის გზა კიბე, გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები და ბაქან-ლიფტი.

  გზა-კიბეები - არ ითვალისწინებს სახელურებს შორის 1200 მმ-ის სიგანეს, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 1007.3 პირველ გამონაკლისზე დაყრდნობით, ვინაიდან შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

  თავშესაფრის ფართობები - არაა გათვალისწინებული შენობაში, თუმცა აღნიშნული დასაშვებია თანახმად 1007.3 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა, ვინაიდან შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

  ბაქან-ლიფტი - შეესაბამება 1007.5 ქვეთავის მოთხოვნას, რომლის თანახმად სავალდებულოა მისი სათადარიგო ელექტრომომარაგება. სათადარიგო ელექტრომომარაგების თაობაზე შესაბამისი მითითება გაკეთებულია ბაქან-ლიფტის დეტალიზაციაზე.

  ორმხრივი კავშირის სისტემა - მოწყობილია 1007.8 ქვეთავის მიხედვით, 0.00 ნიშნულის გარდა თითოეული იატაკის დონეზე, ლიფტის ბაქნებთან. მის მიმდებარედ გამოკრულია

მოწყობილობის გამოყენების მიმთითებელი ნიშანი, თანხამად 1007.8.2 ქვეთავისა. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ცენტრალურ საკონტროლო პუნქტთან (ამ შემთხვევაში ასეთ ადგილად შესაძლოა ჩაითვალოს დაცვის ოთახი). იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემა უნდა გამოსცემდეს როგორც ხმოვან, ისე ვიზუალურ სიგნალებს.

- ამობურცული ნიშნებით და ბრაილით „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ შესაბამისად შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი“ მოწყობილია გასასვლელის მომსახურე ყველა გზა-კართან, თანახმად 1011.4 ქვეთავისა.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

8 შიგა გარემოს შეფასება:

- შენობაში განთვასებული სივრცეების ნაწილი ნიავდება ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჭამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და ქვეთავებს.

- ყველა ის ფართი, რომელთაც არ გააჩნია გარე ფასადზე გამავალი ზემოაღნიშნული პარამეტრების მქონე ღიობი ნიავდება მექანიკურად.

- რაც შეეხება ტუალეტის ოთახებს, ასეთი სივრცეები ნიავდება მექანიკურად, თანახმად 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნისა.

- ასევე მექანიკურად ნიავდება საერთო სარგებლობის დერეფნები.

